ქალთა შრომითი უფლებები

ხარ დასაქმებული?

მაშინ იცოდე, რომ შენ გაქვს უფლება:

- **ორსულობისა და მშობიარობის გამო** მიიღო ანაზღაურებადი შვებულება **126 კალენდარული დღე** და ეს დღეები შენი შეხედულებისამებრ გადაანაწილო ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.



- ბავშვის გაჩენის შემდგომ, მისი მოვლისთვის მოითხოვო შვებულება **604 კალენდარული დღე,** ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში **587 კალენდარული დღე** [აქედან ანაზღაურებადია მხოლოდ 57 დღე].

- დეკრეტული შვებულების გამო **სახელმწიფოსგან** მოითხოვო ერთჯერადი **დახმარება არაუმეტეს 2000 ლარისა.**

- შვებულების დასრულების შემდეგ, დაბრუნდე იმავე სამუშაოზე, ანალოგიური შრომის პირობებით; ისარგებლო ნებისმიერი გაუმჯობესებული შრომის პირობებით იმ ფარგლებში, რისი მიღების უფლებაც გექნებოდა შესაბამისი შვებულებით რომ არ გესარგებლა.

- ორსულობის პერიოდში, შენი მოთხოვნის საფუძველზე ისარგებლო **დამატებითი დროით სამედიცინო გამოკვლევისთვის,** თუ ეს გამოკვლევა უნდა ჩატარდეს სამუშაო დროის განმავლობაში.

- ორსულობის პერიოდში სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების გამო გაცდენილი სამუშაო საათები, გამოკვლევების ჩატარების **დამადასტურებელი დოკუმენტაციის** წარდგენის საფუძველზე **საპატიოდ** უნდა ჩაგეთვალოს და შეგინარჩუნდეს შრომის ანაზღაურება.

> თუ ორსულობის პერიოდში, ახალნამშობიარები ან ლაქტაციის პირობებში, შენი მდგომარეობა სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, არ იძლევა სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას, შეგიძლია იმავე დამსაქმებელთან მოითხოვო შენი **ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი სამუშაოს შესრულება.**

> თუ ორსულობის პერიოდში, ახალნამშობიარები ან ლაქტაციის პირობების შემსუბუქების ან მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანის შეუძლებლობის შემთხვევაშიც, სამედიცინო დასკვნაში მითითებული ვადის გათვალისწინებით, შენ **თავისუფლდები** სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან. ეს არ ჩაგეთვლება დროებითი შრომისუუნარობის ვადაში, თუმცა შენი შრომის ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება **დამსაქმებელთან შეთანხმებით.**



- ე.წ. დეკრეტული შვებულების შემდგომ დამსაქმებელმა ხელი უნდა შეგიწყოს **კვალიფიკაციის ამაღლებაში.** გადამზადების, სწავლის ან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სასწავლო კურსში დამსაქმებლის ინიციატივით მონაწილეობა - ანაზღაურებადია.

USAID
ამერიკელი ხალხისგან
USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM
EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE
GTUC